პროდიუსერის მოტივაციაში ასახული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

- **მოკლე სინოფსისი (LOG LINE).** მოკლედ ერთი წინადადებით აღწერეთ, რის შესახებ არის ფილმი.

- **დაფინანსება.** ფინანსურ გეგმაში ასახული უნდა იყოს ფილმის ბიუჯეტის შევსებისთვის საჭირო დამატებითი თანხების მოძიების სტრატეგია და გზები, ან უკვე მოძიებული დამფინანსებლ(ებ)ის მიერ დაფინანსების ძირითადი კრიტერიუმები.

- **რა აუდიტორიაზეა გათვლილი ფილმი**. ჩამოთვალეთ ფილმის სამიზნე აუდიტორიის მონაცემები ასაკის, სქესის, განათლების დონის, შემოსავლის და გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ, ასევე მათი ცხოვრების სტილისა და მისწრაფებების შესახებ.

- **რა გამოცდილება აქვთ მსახიობებსა და გადამღებ ჯგუფს.** ჩამოთვალეთ წამყვანი ფიგურების (პროდიუსერი, რეჟისორი, ოპერატორი, მხატვარი და მსახიობები) წარსულში მიღწეული წარმატებები, ფილმების ჩვენებები ფესტივალებზე, მიღებული პრიზები და ა.შ.

- **რამდენად წარმატებულია ამ ჟანრის სხვა ფილმები:** დაასახელეთ თქვენი პროექტის მსგავსი სხვა წარმატებული პროექტები და აჩვენეთ, თუ როგორ მიაღწევს მსგავს შედეგებს თქვენი პროექტი. მოიძიეთ თქვენი პროექტის მსგავსი ბიუჯეტის, მსახიობთა ანსამბლის, ჟანრის და წარმოების ღირებულების მქონე პროექტები.

- **ფილმის სადისტრიბუციო სტატეგია.** არსებობს თუ არა მოლაპარაკებები სადისტრიბუციო კომპანიებთან ფილმის გაყიდვის შესახებ? სად იგეგმება ფილმის გაყიდვა, ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ? დისტრიბუციის კუთხით რა გამოცდილება არსებობს მსგავსი ჟანრისა და ბიუჯეტის მქონე ფილმებისთვის.

- **ფესტივალები.** ჩამოთვალეთ რომელ ფესტივალებზე და ბაზრობებზე აპირებთ მონაწილეობის მიღებას.